შეთანხმების აქტი N11/01-1

01.11.2018 წლის N11/01 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

ქ. თბილისი

10 დეკემბერი 2018 წელი

ერთი მხრივ,
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახური
წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებლის - **იულია ტყეშელაშვილის** სახით,
მის: ქ. თბილისი, ზ. ანჯაფარიძის ქ.N27,
საიდენტიფიკაციო კოდი: 205360223,
სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22,
ა/ა GE24NB0330100200165022
(შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორე მხრივ,
შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
წარმოდგენილი გენერალური დირექტორის - **ლაშა კილაძის** სახით,
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404945164,
იურ/მისამართი: ქ. თბილისი, ქავთარაძის N2 ჩიხი (ყოფილი ქავთარაძის N21ა),
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი“ ბანკი,
ბანკის კოდი: TBCBGE22,
ა/ა: GE05TB7810436020100001
(შემდგომში „მიმწოდებელი“)

2018 წლის 1 ნოემბერს გაფორმებული N11/01 ხელშეკრულების მე-10 მუხლის, 2018 წლის 10 დეკემბრის N1086366 მოხსენებითი ბარათის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის და სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება 2018 წლის 1 ნოემბრის N11/01 ხელშეკრულების დანართი N1-ში (პრეისკურანტში) და დაემატოს შემდეგი სამედიცინო მომსახურება:

კოდი	მომსახურება	ფასი (ლარი)
F10.3	ალკოჰოლის მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი, აღკვეთის მდგომარეობა	1471

2. შევიდეს ცვლილება 2018 წლის 1 ნოემბრის N11/01 ხელშეკრულების 3.2 ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„3.2. შესყიდვის ობიექტის პრეისკურანტის ჯამური ღირებულება შეადგენს : 41 337.00 ლარს (ორმოცდაერთი ათას სამას ოცდაჩვიდმეტო ლარი და 00 თეთრი).**
3. ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში მოცემული ყველა სხვა პირობა დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია 2018 წლის 10 დეკემბრიდან, წარმოადგენს 2018 წლის 1 ნოემბრის N11/01 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.
5. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

წინადებარე შეთანხმების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახური	**შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“**
იულია ტყეშელაშვილი	ლაშა კილაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 10 დეკემბერი 2018 წელი

მიმწოდებელი: **შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“**

ხელშეკრულების № 11/01

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლს "ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები" ვადასტურებ, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველოს სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შესმრულებელი ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები, რასაც ვადასტურებ ხელისმოწერით:

---------- იულია ტყეშელაშვილი

MOC 2 18 01086366

10/12/2018

სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს,
ბატონ გიორგი პატარიძეს

სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის,
თამთა დემურიშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსენებათ, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულებები სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებთან. მათ შორის არის შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი". კლინიკის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, კონკრეტული სამედიცინო მომსახურება არ არის გათვალისწინებული აღნიშნულ კლინიკასთან 2018 წლის 1 ნოემბერს გაფორმებული N11/01 ხელშეკრულების დანართში N1 (პრეისკურანტში). შესაბამისად, პაციენტთა სრულყოფილი სამედიცინო მომსახურებისათვის, აუცილებელია აღნიშნული ხელშეკრულების დანართში N1 (პრეისკურანტში) სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით დამატების შეტანა.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს, უზრუნველყოს შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან" 2018 წლის 1 ნოემბერს გაფორმებული N11/01 ხელშე კრულების დანართში N1 (პრეისკურანტში) სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით დამატების შეტანა.

სამედიცინო მომსახურების დამატების შესახებ დანართი იხილეთ მიბმულ ფაილში.

პატივისცემით,

ცენტრალური აპარატი / სამედიცინო დეპარტამენტი
უფროსი
დემურიშვილი თამთა